

ძირითადი საშუალებების დამატება

ძირითად საშუალებებში რეგისტრირდება საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური აქტივები, რომელსაც საწარმო იყენებს, წარმოებაში, მომსახურებაში, იჯარით გასაცემად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ხნის ვადით.

ცნობარის ელემენტის შექმნა შესაძლებელია როგორც მანუალურად (ხელით), ასევე პაკეტურად ცხრილური დოკუმენტებიდან მონაცემების ჩატვირთვის დამუშავების გამოყენებით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#)).

ძირითადი საშუალებების შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ ძირითადი საშუალებების ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „**ძირითადი საშუალებები**“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს. გაიხსნება ფორმა, საიდანაც შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ერთგვაროვანი ძირითადი საშუალების პაკეტურად შექმნა*
- შეიყვანეთ ძირითადი საშუალების დასახელება
- საინვენტარო ნომერი
- სურვილისამებრ შეიყვანეთ შესაქმნელი რაოდენობა - გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხდება რამდენიმე ძირითადი საშუალების პაკეტურად შექმნა
- ველში „კატეგორია“ აირჩიეთ ძირითადი საშუალებ(ებ)ის კატეგორია, რომელსაც ის განეკუთვნება ([ძირითადი საშუალებების კატეგორიის შექმნა](#))
- მას შემდეგ რაც შეიყვანთ ძირითადი საშუალების კატეგორიას გამოვა ავტომატური შეტყობინება, რომლის დადასტურების შემთხვევაში აღრიცხვის ანგარიშები და ამორტიზაციის პარამეტრები შეივსება არჩეული კატეგორიის მიხედვით, თუმცა შესაძლებელია მისი ცვლილება ([იხ. ამორტიზაციის პარამეტრები](#))
- საჭიროების მიხედვით მიუთითეთ ადგილმდებარეობის მონაცემები „ადგილმდებარეობა“ ჩანართზე.
- ძირითადი საშუალების დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

*პროგრამაში ძირითადი საშუალებები აღრიცხება ინდივიდუალურად, შესაბამისად ერთგვაროვანი ძირითადი საშუალებების დამატება ხდება ცალ-ცალკე, მათთვის ინდივიდუალური საინვენტარო ნომრის მინიჭებით.

ნოუტი: პაკეტურად რამოდენიმე ძირითადი საშუალების შექმნის შემთხვევაში შეყვანილი საინვენტარო ნომერი ყოველ შემდეგ ძირითად საშუალებაზე იზრდება ერთით.

ძირითადი საშუალება (შექმნა) *

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კიდევ

ჯგუფი: [] კოდი: []

დასახელება: სავარძელი

აღწერა: []

საინვენტარო ნომერი: [] შესაქმნელი რაოდენობა: 1 ?

მთავარი ადგილმდებარეობა ამორტიზაციის პარამეტრები დამატებით ტრანზაქციის ისტორია

კატეგორია: აკტიური მოქმედების

შესყიდვის თარიღი: 06.09.2018

შესყიდვის ღირებულება: 0.00

აღრიცხვის ანგარიშები

აღრიცხვის ანგარიში: 2170 ხარჯების ანგარიში: 7450

ამორტიზაციის ანგარიში: 2270

მიმდინარე ინფორმაცია

სტატუსი: აკტიური ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი: []

ღირებულება: 0.00 ამორტიზაცია: 0.00

ერთი წლის ამორტიზაცია: 0.00 ღირებულება ნეტო: 0.00

ბოლო ამორტიზაციის თარიღი: []

1C:საწარმო

ამორტიზაციის პარამეტრები შეივსო კატეგორიის მიხედვით. ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი: წრფივი. გამოყენების ვადა: 60

OK

შესყიდვის მონაცემები

ველები „შესყიდვის თარიღი“ და „შესყიდვის ღირებულება“ ატარებს ინფორმაციულ ხასიათს.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ანგარიშები

ძირითადი საშუალების აღრიცხვის ანგარიშები ივსება ავტომატურად არჩეული კატეგორიის მიხედვით, თუმცა მათი რედაქტირება ბარათზე შესაძლებელია. თითოეული ანგარიშის არჩევის ფანჯარა გაფილტრულია შესაბამისი კლასის ბუღალტრული ანგარიშებით.

აღრიცხვის ანგარიშები	აღწერა	კლასი
აღრიცხვის ანგარიში	ანგარიშზე აისახება ძირითადი საშუალების მოძრაობა პირვანდელი ღირებულებით (21xx)	ძირითადი საშუალება / არამატერიალური აქტივი

ამორტიზაციის ანგარიში	ანგარიშზე აისახება ძირითადი საშუალების დაგროვილი ცვეთა (22xx)	ამორტიზაცია
ხარჯების ანგარიში	ანგარიშზე აისახება ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	ხარჯები

მიმდინარე ინფორმაცია

მიმდინარე ინფორმაციის დანაყოფში აისახება ძირითადი საშუალების მიმდინარე მდგომარეობა მასზე განხორციელებული ოპერაციებისა და დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით.

სტატუსი	ძირითადი საშუალების მიმდინარე სტატუსი (აქტიური, არ არის აქტიური, ჩამოწერილი)
ღირებულება	პირვანდელი ღირებულება - ძს აღრიცხვის ანგარიშზე არსებული ნაშთი (21xx)
ერთი წლის ამორტიზაცია	მოცემულ წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხა
ამორტიზაცია	დაგროვილი ამორტიზაციის თანხა
ღირებულება ნეტო	ნარჩენი ღირებულება (NBV)

ამორტიზაციის პარამეტრები

ჩანართზე მიეთითება ამორტიზაციის ავტომატური დარიცხვისათვის საჭირო ინფორმაცია.

ველი	აღწერა
ამორტიზაციის დაწყების თარიღი	ავტომატურად ივსება მიმდინარე თავის დასაწყისით, სურვილისამებრ შესაძლებელია მისი რედაქტირება
ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი	ავტომატურად ივსება არჩეული კატეგორიის მიხედვით. ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდები
სალიკვიდაციო ღირებულება	ძირითადი საშუალების სალიკვიდაციო ღირებულება (თუ ასეთი გააჩნია)
გამოყენების ვადა	მიეთითება მხოლოდ წრფივი დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში. ავტომატურად ივსება არჩეული კატეგორიის მიხედვით.

ძირითადი საშუალების ადგილმდებარეობა

ძირითადი საშუალების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის შევსება ხდება „ადგილმდებარეობა“ ჩანართზე. ველებში „საწყობი“ და „პასუხისმგებელი“ მონაცემები ივსება ძირითადი საშუალების მიმდინარე ადგილმდებარეობის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალება ჯერ არ არის დამატებული, ველები მისაწვდომია შესვებისათვის და ძირითადი საშუალების ჩაწერისას ხდება ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების ავტომატური დამახსოვრება.

თუ ძირითადი საშუალება უკვე ჩაწერილია მისთვის ადგილმდებარეობის მითითება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- დააჭირეთ ღილაკს „ადგილმდებარეობის მითითება“
- შეავსეთ ველში „მიმღები“ საწყობი (ტერიტორია), სადაც განთავსდება ძირითადი საშუალება
- ცხრილში ძირითადი საშუალების გასწვრივ შეავსეთ პასუხისმგებელი პირი
- „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკით ინფორმაცია შეინახება სისტემაში და ძირითადი საშუალების ბარათის ხელახალი გახსნისას ჩანართზე „მდებარეობა“ აისახება ეს მონაცემები.

ამავე ჩანართდანვეა შესაძლებელი ძირითადი საშუალების გადაადგილების ოპერაციის დაფიქსირება ([ძირითადი საშუალების გადაადგილება](#)).

დამატებითი ინფორმაცია

- ჩანართში „დამატებითი“ შესაძლებელია მიეთითოს ინფორმაცია დაზღვევის, მიღებული გარანტიის, ლიზინგისა და ლიზინგის თარიღის შესახებ. ასევე შესაძლებელია აირჩიოს ძირითადი საშუალების საკუთრების ფორმა (საკუთარი, იჯარით, ლიზინგი და სხვა). სურვილისამებრ შესაძლებელია მიეთითოს მოდელი და გამოშვების (აშენების) თარიღი. ასევე არსებობს შემთხვევაში შესაძლებელია რაოდენობის მითითება.
- ტრანზაქციის ისტორიაში აისახება ყველა ის ბუღალტრული ოპერაცია რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ძირითად საშუალებასთან.

ძირითადი საშუალებების კატეგორიის შექმნა

ძირითადი საშუალებების კატეგორიების ცნობარი ავტომატურად ივსება ბაზის საწყისი შევსების დროს ქონების გადასახადის დეკლარაციაში არსებული კლასიფიკაციის მიხედვით. ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ავტომატურად ივსება მნიშვნელობით „წრფივი“, ხოლო გამოყენების ვადა შესაბამისი საგადასახადო ჯგუფების მიხედვით.

- ძირითადი საშუალებების კატეგორიაში დააჭირეთ ღილაკს შექმნა
- შეავსეთ ძირითადი საშუალებების (აღრიცხვის, ამორტიზაციის და ხარჯების) ანგარიშები

- აირჩიეთ მოცემული ძირითადი საშუალების ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი (წრფივი, წრფივი (დღეების მიხედვით) საგადასახადო, არ ერიცხება)
- განსაზღვრეთ გამოყენების ვადა
- აირჩიეთ საგადასახადო ჯგუფი
- ძირითა საშუალების კატეგორიის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

ავეჯი ოფისისათვის (ძირითადი საშუალებების კატეგორია)

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კიდევი

დასახელება: კოდი: 000016

აღრიცხვის ანგარიში: ▼ □

ამორტიზაციის ანგარიში: ▼ □

ხარჯების ანგარიში: ▼ □

ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი: ▼

გამოყენების ვადა (თვ.):

საგადასახადო ჯგუფი: ▼ □